ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 232

10 აგვისტო

"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გიორგი ალავიძისთვის (პ/ნ: 01008014280) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გიორგი ალავიძისთვის (პ/ნ: 01008014280) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 19 ივლისის №18.583.878 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე არსებული 18464 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.003.025) 94 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ალავიძისთვის (პ/ნ: 01008014280) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 700 (ხუთი ათას შვიდასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**